15-ს ივლისს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

# მწყემსი

№ 14.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის ,,მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію ,,Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭვდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში, შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭვდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ეკკლესიების შენობის საქმის გაძნელება ქუთაისის გუბერნიაში.—ნოტებით ქართული გალობა ეკკლესიაში.—წერილი რედაქტორთან.—ტაბაკინის მონასტერი.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში VII.—,,შრომის“ მუოფ რედაქტორს.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.—წუხდებულება ძმობისა...—ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲖᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. სიტყვა, თქმული მ. დ. ღამბაშიძის მიერ.—მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ღვთის-მსახურების ტიპიკონის ზოგიერთი კითხვების აღხსნა და განმარტება.—მდიდარი.—რედაქციის პასუხი.—შეწირულება.—განცხადებანი.

## ᲔᲙᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ.

1882 წლამდე ეკკლესიების შენობის საქმე ქუთაისის გუბერნიაში სულ სხვა წესით მიდიოდა. ამ დრომდის ეკკლესიებს აშენებდნენ მრევლნი იმ პლანისას, რომლისაც აშენება შეეძლოთ. როდესაც რომელიმე მრევლი თავისი ძველი და პატარა ეკკლესიის მაგიერ განიზრახავდა ახალი ქვითკირის ანუ ხის ეკკლესიის აშენებას, მიიქცეოდა ადგილობით მღვდელ-მთავართან და გამოითხოვდა ნებას ახალი ეკკლესიის აშენებაზე. ნების მიღების შემდეგ რომელიმე აღშენებული ეკკლესიის პლანს აიღებდა მრევლი და იმ პლანის ეკკლესიის აშენებას შეურიგდებოდა ოსტატს. ეკკლესიები შენდებოდენ, მღვდელ-მთავრებისაგან იკურთხებოდენ და წირვა ლოცვა იმართებოდა შიგ; ან არა და თვითონ მღვდელ-მთავრები უჩვენებდენ მრევლთა ეკკლესიების პლანებს და იმ პლანზე შენდებოდენ ეკკლესიები. ასე ამ წესზედ მიდიოდა ეკკლესიების შენობის საქმე. მრევლიც მადრიელი იყო და სასულიერო მართებლობაც არ ემდუროდა მრევლთა.

1882 წელში ქუთაისის გუბერნატორმა ბ. მალაფეევმა გამოუცხადა ბლაღოჩინებს მაზრის უმფროსების საშუალებით, რომ მათ ნება დაურთველად გუბერნატორისა არ გაბედონ ეკკლესიის შენობის დაწყება. ,,თუ სადმე გაბედონ ეკკლესიის შენობა, სწერდა გუბერნატორი მაზრის უმფროსებს, ჩემგან დაუმტკიცებელი პლანით, თქვენ ვალდებული ხართ იხმაროთ ყოველივე ზომა შენობის აღკრძალვის და დაყენებისათვის.“ გუბერნატორი არა თუ ეკკლესიის შენობას უკრძალავდა მრევლთა, თუ მათ მისგან დამტკიცებული პლანი არ ექნებოდათ,

არამედ მასალის დამზადებაც კი აღუკრძალა სამრევლოთა, ვიდრემდის ეკკლესიის პლანი არ იქმნებოდა წარდგენილი მრევლთაგან და დამტკიცებული მისგან.

ამისთანა გუბერნატორის განკარგულებამ, რომელსაც პრინციპიალურად დიაღ კეთილ მიზანი აქვს, მაინც მეტის მეტად დააღონა მრევლნი, რომელთაც ეკკლესიები ჰქონდათ ასაშენებელი, მაგრამ მეორეს მხრით აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი ქუთაისის ინჟინერ-არხიტექტორები. საზოგადოებამ მარტო ეხლა გაიგო ვინ და რაები ყოფილან ინჟინერები და არხიტექტორები და რამდენათ აფასებენ იგინი ერთი დღის შრომას.

ხალხი, რასაკვირველია, როგორც წინეთ, ისე დღესაც საჭიროებს ახალი ეკკლესიების აშენებას. აქ საჭირო შეიქნა ჯერეთ პლანის შედგენა რომელიმე არხიტექტორისაგან. ქუთაისი, როგორც მოგეხსენებათ, პატარა ქალაქია. აქ ინჟინერებს და არხიტექტორებს ერთი ერთმანეთთან ძლიერ კარგი გაწყობილი კავშირი აქვსთ ერთის გარდა. მისთანაც უნდა მიხვიდე პლანის შესადგენად, იმისთანა ფასს მოგთხოვენ, რომ სულ გეკარგებათ ეკკლესიის შენობის სურვილი. ერთი არხიტექტორი ამბობს, რომ ყველა არხიტექტორებში მარტო მან იცის ეკკლესიების პლანის შედგენა და სხვებმა კი — არ იციან; ყველას ურჩევს მასთან დაიკავოს საქმე. გასაკვირველად ამ არხიტექტორს უვარდება ხელში ყველა ეკკლესიის პლანები შესამოწმებლად. თუ პლანი მისგან შედგენილი არ არის, ყოვლად შეუძლებელია, რომ რაიმე წუნი არ დასდვას და სხვისგან შედგენილი პლანი არ დაიწუნოს. ერთი წელიწადი მარტო პლანის მიღებაზე უნდა ირბინო და იცოდვილო და აშენება სხვაა...

დიდათ სასურველი იყო, რომ რამდენიმე ხანი ჩვენი ეკკლესიების შენობის საქმე ძველ წესსზედ დარჩენილიყო და ეხლანდელი ინჟინერ-არხიტექტორების მზრუნველობისაგან განთავისუფლებულნი ვყოფილიყავით. ჩვენში ჯერეთ იმოდენი შეძლება არა აქვსთ სოფლებში, რომ ეკკლესიების ასაშენებლად ოციდამ ორმოცდა ათი ათასი მანათი დახარჯონ და თითეულ მანეთზე კანონიერი ორი ან ოთხი კაპეიკი სარგებელი არხიტექტორს მისცენ... მოსკოვის და პეტერბურღის გუბერნიების წესით რომ მოეპყრონ ჩვენში ეკკლესის შენობის საქმეს, სულ უეკკლესიოთ დარჩება ხალხი და უიმისოთაც ხალხის დასუსტებული სარწმუნოება სულ დაეცემა.

ინჟინერ-არხიტექტორები ამტკიცებენ, რომ ის ეკკლესიები, რომელნიც მათ უპლანოდ და დაუხედავათ შენდებიან, ხშირად იმკვრევიან ხოლმე და ხალხისათვის დიდი ზარალი მოაქვსთო. ამისათვის ყოველი შენობა მათგან შედგენილი პლანებისა მებრ უნდა შენდებოდენო. ჩვენ არ ვიტყვით იმას, რომ სადმე სოფელში უპლანოდ აშენებული ეკკლესია არ დამგვრეულიყოს; მაგრამ არც ის შეიძლება სთქვას კაცმა, რომ არხიტექტორებისაგან შედგენილი პლანით და მათის დახედვით აღშენებული ეკკლესიებიც არ დამგვრეულიყოს სადმე. რამდენია დამგვრეული ეკკლესიები, რომელნიც არხიტექტორებისაგან შედგენილი პლანით აღშენებულან და შენებაზე თვითონ ისინი თავზედ სდგომიან?.. ქალაქში ერთმა ამისთანა ეკკლესიამ ორი-სამი არხიტექტორი შიგ მოიყოლია და გასრისა!.. რამდენი იმგვრევა რუსეთში ეხლანდელი არხიტექტორების პლანებით აღშენებული ეკკლესიები, ვინ მოთვლის!.. ჩვენში შეხედეთ აქეთ-იქით გორებზე აშენებულ ეკკლესიებს, რომელნიც მტკიცედ სდგარან, თუმც სახურავებიც კი აღარ აქვსთ. ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ეკკლესიები უპლანოთ და ცუდათ უნდა შენდებოდენთქო. არა; ეკკლესიები რიგიანი და შესაფერის მშვენიერებით უნდა შენდებოდნენ, მაგრამ მიყრუებულ სოფლებში სრულებით იმდენი შეძლება არა აქვსთ, რომ პლანებისამებრ აღაშენონ ეკკლესიები.

## ნოტებით ქართული გალობა ეკკლესიაში.

ამ თვის რვას, დღით კვირას, შორაპნის (ყვირილის) ნათლის მცემლის ეკკლესიაში მთელი წირვის წესი ნოტებზე ქართულად იგალობეს. იგალობეს პატივცემული ანდ. იაგ. მრევლოვის შედგენილ ნოტებზე მისმა ოთხმა ასულმა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. ქრისტეფორე ნ. გროზდოვმა. მგალობლებს ხელმძღვანელობდა თვითონ მრევლოვი. ბ. მრევლოვს კარბელოვის კილოს გალობა, როგორც თვითონ მან გვიამბო, გადუღია ნოტებზე ორმოცი წლის წინათ. ეს თავისი შრომა წარუდგენია მაშინ მყოფის ექსარხოსისათვის, ისიდორესთვის. იმას დეკანოზი ჭრელაევისათვის მიუნდვია გასახილავად. ამ უკანასკნელს განუხილავს ბ. მრევლოვის შრომა და მოწონებით წარუდგენია ექსარხოსისათვის, მაგრამ ექსარხოსს მაინც არ მიუცია ნება სასწავლებლებში ხმარებისა, რადგან ქართული გალობის სწავლება არ ჰყოფილა იმ დროს სასწავლებლებში და ნამეტურ მისთვის, რომ იტალიანურ ნოტებზე არის დაწერილიო... ეს ნოტები ბ. მრევ-

ლოვს ჰქონებია აქამომდე შენახული. იმ დროს, როდესაც გალობის აღმადგენელმა კომიტეტმა თფილისში ბ. მიხეილ მაჭავარიანი მიიწვია ქართული გალობის ნოტებზე გადასაღებად, ეს ნოტები მაჭავარიანს განეხილა, მაგრამ ვერაფერი გაეგო და უკან დაებრუნებია ბ. მრევლოვისათვის. ბ. მაჭავარიანმა ყველა დასაკრავ-ინსტრუმენტებზე შინჯა თურმე ქართული გალობის ნოტებზე გადაღება, მაგრამ მან ვერ მოახერხა თურმე გალობის ნოტებზე გადაღება!. ბოლოს გამოაცხადეს, რომ სხვა ნაირი დასაკრავი იარაღი უნდა გაკეთდეს სამძლვარ გარეთო; ან როიალს რამდენიმე კლავიშები უნდა მოემატოსო, თორემ ისე არ შეიძლება ქართული გალობის ნოტებზე გადაღებაო!.. ამით საქმე გაათავეს და ფულებიც მიირთვეს ამისთანა სიბრძნის გამოგონებისათვის!..

ბ. მრევლოვს ეს ნოტები შემდეგ კიდევ გადუთვალიერებია და შეუმუშავებია. ყოველ საეკკლესიო გალობას უმეტესად ერთი თვისება უნდა ჰქონდეს. ეს თვისება არის ის, რომ გალობამ კაცი უნდა მოიყვანოს გრძნობაში სალოცავად. საეკკლესიო გალობამ მლოცველს დროებითად უნდა დაავიწყებინოს ქვეყნიერი ზრუნვა და შფოთვა და გონებით მიაქციოს ღვთისადმი. მრევლოვის გალობას ეს თვისება სწორედ აქვს. კილო ამ გალობისა არის ქართული და არა გურული და ჩვენში ყველას არ მოეწონება ისე, როგორც კახეთში გურული კილოს გალობა არ მოეწონებათ. მაგრამ აქაც ბევრს მოეწონათ ეს გალობა. ჩვენ აქ მიუდგომლათ უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ადგილები ძლიერ კარგად არიან გადაღებულნი, მაგრამ საძნელო გალობებში კი რუსული კილოები არის შეპარული. ეს ნოტები ძლიერ ადვილად შეიძლება შესწოროს კაცმა და წირვის წესის გალობა მზათ იქმნება.

ზოგს არ მოსწონს აქ კარბელოვის კილო, მაგრამ აქ კილო არ არის დამნაშავე და მიზეზი. მიზეზია აქ ჩვენი სასმენელი და გრძნობა და არა გალობა...

ყოველს შემთხვევაში ვაქებთ ჩვენ ბ. მრევლოვის შრომას. აი, ეს არის სწორედ საქები შრომა! კაცმა ილვაწა, იშრომა თავის შვილებთანა და გადილო ქართული გალობა ნოტებზე. მოისმინეთ, გასასწორებელი გაასწორებინეთ; თუ დაგიჯდებათ მიიღეთ, არა და,—მშვიდობით იყავით!.. მეტი რა გინდათ!..

ჩვენ ამით იმას არ ვამბობთ, რომ ზრუნვა გალობაზე საჭირო აღარ იყოს თქვა. არა; ზრუნვა საჭიროა და ძლიერ საჭირო. სწორედ დადგა უკანასკნელი დრო გალობისთვის; თუ დროზე არ უშველეთ, ის ჩაჰყვება საფლავში იმათ, ვინც იციან დღეს და ხელში შეგვრჩება მარტო „ღოსპოდი პომილუი.“ საჭიროა, რომ მიუცილებლად იქმნეს სამი წირვის წესი გადაღებული ნოტებზე, როგორც კარბელოვის კილოსი, ისე გურული. ძლიერ ვწუხვართ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი წინააღმდეგი ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა —და კომიტეტისა. ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ნოტებზე ქართული გალობის გადაღების წინააღმდეგი კაცი ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის და გალობის მტრად და მოღალატედ... ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სამღვდელოება ეცდება ორივე კილოს გალობის ნოტებზე გადაღებას.

ამასთან გულით ვისურვებთ, რომ ყველა მუზიკის მცოდნე ქართველთა: ბ. ძორიძემ, მრევლოვმა და ანდრო ბენაევმაც ერთად შეიყარონ თავი და ერთად იმუშაონ საზოგადო კეთილ საქმეზე და არა ცალ-ცალკე და ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ...

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

მე, ერის კაცს, მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ჩვენი მოძღვრების საყურადღებოდ და იმედი მაქვს, ნებას მომცემთ „მწყემსის“ საშუალებით გამოვსთქვა ეს სიტყვები. *)

ჩვენს სამღვდელოებას ხშირად ვემდურით ხოლმე, რომ მათგან ეკკლესიებში ქადაგებითი სიტყვა არ გვესმის. ეს სამდურავი ერთის მხრით საფუძლიანია. მართალია, რომ ჩვენი მოძღვრები არაფრათ აქცევენ ყურადღებას ამ თავის დიდ მოვალეობას. უმეტესმა მათგანმა თუ ზოგიერთი მღვდელ-მოქმედება შეასრულა, სხვას არ დაეძებს. მაგრამ ესეც

*) სამწუხაროდ, არ შეგვიძლია, რომ პატივცემულ ავტორს არ დავეთანხმოთ ზოგიერთ მოსაზრებაში; მაგრამ ამ საგანზე ჩვენც მრავალჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი, რომ ქალაქის ნასწავლ მღვდლებს უმეტესად არ მიეტევება ეს სიჩუმე. ამისთვის ურჩევდით ჩვენ ქალაქის ზოგიერთა მღვდლებს სხვა-და-სხვა თანამდებობის დატევებას და თავის პირ-და-პირი მოვალეობის მტკიცედ ხელის მოკიდებას. ჯერჯერობით ჩვენი სიტყვა უნაყოფოდ რჩება; მაგრამ იმედი გვაქვს, ბოლოს მაინც მიექცევა ყურადღება ამ საგანს. დღეს სინოდმაც მიაქცია ამას ყურადღება და ითხოვს სამღვდელოებისაგან ქადაგებითი სიტყვას.

რედაქტორი.

უნდა ვსთქვათ, რომ ყველა მღვდელზე საყვედურის თქმა არ შეიძლება, რადგან უმეტესი ნაწილი ჩვენი მოძღვრებისა არ არის მომზადებული; არ არის განვითარებული ისე, რომ მათ აღასრულონ ის მძიმე და დიდ-მნიშვნელობიანი მოვალეობა, რომელსაც ქადაგებითი სიტყვას ეძახიან. ზოგიერთთაგან ისიც დიდია, თუ საჭირო მღვდელ-მოქმედებანი შეასრულეს. ამასთანავე ბევრს მღვდელს თავისი ეკონომიური მდგომარეობაც ნებას არ აძლევს, რომ ქადაგებითი სიტყვაზე იზრუნოს. რამდენი მღვდელი ენახება მკითხველს, რომელიც წირვის ანუ რომელიმე სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების შემდეგ წელში წელდ გარჭობილი და ხარზე თოხ გადებული გარბის სამუშაოთ, რომ თავის წვრილ ცოლ-შვილს წლის სარჩო მოუმზადოს.

მაგრამ მათში, მადლობა ღმერთს, ბევრნი ისეთები მოიძებნებიან, რომელთაც თავის მოვალეობის ასრულებაში განათლებაც ხელს უწყობს და ეკონომიური მდგომარეობაც. აი ამისთანა მღვდლები სწორეთ რომ ღირსნი არიან იმ საყვედურისა, რომელიც მათზე ისმის საზოგადოებისაგან. ხშირად ამისთანა მღვდლები შემდეგ წირვისა გარბიან თავიანთ სახლებში და არაფერ სიტყვას და დარიგებას არ გვეუბნებიან მათ სამწყსოსს; ზოგი მღვდლების მოქცევისაგან იმ დასკვნასაც გამოიყვანს კაცი, რომ მათ კიდეც ეთაკილებათ სამწყსოსთან ბაასი და სრულიად არ მეცადინობენ, რომ მათ და მრევლს შუა იყოს მამაშვილური სიყვარული და განწყობილება. განა ამისთანა მღვდლებს არ შეუძლიათ, რომ წირვამდის ანუ ნაწირვებს დღიური სახარების და სამოციქულოს შინაარსი აგვიხსნან მლოცველებს? და სულ არა-რაობას ხომ ეს აჯობებს?

ჩვენ ბევრი მღვდლებისაგან გაგვიგონია შემდეგი სიტყვები: „ვის უნდა უქადაგოთ, როდესაც ხალხი არ დაიარება ეკლესიაშიო.“ შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ამის მიზეზი ისევ ზოგი მღვდლებია და არა ხალხი. აპა ამისთანა მღვდლებმა გააგონონ ხალხს ეკლესიებში ცხოველი სიტყვა და მაშინ ნახვენ, სავსე იქმნება მათი ეკლესიები მლოცველებით თუ არა? ჩვენ ვიცით ერთი ეკლესია, რომელიც ყოველ კვირა-დღესასწაულებზე სავსეა მლოცველებით; ამის მიზეზი არის ის, რომ მლოცველებს ამ ეკლესიაში ყოველ ამისთანა დღეებში გადასცემენ ხოლმე დღიური სახარების შინაარს, და ხალხიც გულმოდგინეთ ისმენს თავის მწყემსის სიტყვას. შეიძლება, რომ ზოგ მღვდელს ზოგიერთი საჭირო სახელ-მძღვანელოების უმქონელობისა გამო უძნელდებოდეს სიტყვების მომზადება, მაგრამ განა მათ არ შეუძლიათ აიღონ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ქადაგების წიგნი, რომელიც ყოველ ეკლესიაშია, ამოარჩიონ მასში დღის შესაფერი სიტყვა, წაიკითხონ წინ-და-წინ, გაიგონ სიტყვის აზრი, შეითვისონ შინაარსი სიტყვისა კარგად და მერე ეკლესიაში ხალხს უთხრან? ეს არ ემჯობინება იმას, რომ ეხლა ეს ქადაგებანი და მოძღვრებანი ხელ-მოუკიდებელნი და ფურცლებ გაუჭრელნი აწყვიან ზოგიერთ ეკლესიებში? თუ ზოგს ამ სიტყვების შინაარსის ვრცლად ანუ მოკლედ გადაცემაც არ შეუძლია ხალხისთვის, მაშინ აიღოს თავათ წიგნი, ამოარჩიოს რომელიმე სიტყვა და წაუკითხოს ხალხს გაგებით. მაგრამ ზოგი მღვდლები ამასაც არ ნებულობენ. ხშირად ამ ქადაგებას წასაკითხავად ხელში აძლევენ მედავითნეებს. შესაფერი იქნება წასაკითხავი სიტყვა იმ დღისთვის თუ არა, ამას მედავითნე არ ეძებს. იღებს და კითხულობს რომელიმე სიტყვას, არა იმიტომ, რომ მსმენელებს გააგებინოს რამე, არამედ „განიცადეს საგალობელის“ სამაგიეროდ, რომ მლოცველებს ძილი არ მოუვიდესთ ეკლესიაში.

ერთი სიტყვით ნამდვილია ის, რომ ჩვენი სამღვდელოება ყურადღებას არ აქცევს ქადაგებითი სიტყვას, ზოგი მოუმზადებლობისა და ზოგი დაუდევრობისა გამო. ამიტომ, ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ანომალიურს მოვლენას და ვალად დაუდებდნენ სამღვდელოებას, ვისაც კი განათლება და შეძლებაც ნებას აძლევს, რომ მათ ქადაგებითი სიტყვას ყურადღება მიაქციონ. მღვდლები ხომ უამისოთაც მოვალენი არიან ქადაგებითი სიტყვას ყურადღება მიაქციონ... რუსეთში იშვიათად მოხდება, რომ კათედრის სობოროში დღესასწაულ და კვირა დღეებში ქადაგება არ წარმოთქვან. ჩვენში? ჩვენ არასოდეს არ გაგვიგონია, რომ სამღვდელო პირს გარდა ყოვლად სამღვდელოისა ქადაგება ეთქვას სობოროებში...

ერის კაცი.

## ტაბაკინის მონასტერი.

სოფელი ტაბაკინი მდებარეობს შორაპნის მაზრაში, შორაპნის დაპირდამ სამხრეთის მხრით შვიდ ვერსტზე. ეს სოფელი შესანიშნავია ღვინის მოსავლით. სოფელში ირიცხება აზნაური და გლეხი ასოც კომ-

ლამდის. ამ სოფელში არის ერთი ძველ დროში აშენებული ქვითკირის ეკკლესია, რომელიც წინა დროებში მონასტრად ყოფილა. ვიდრემდის ეს ეკკლესია მონასტრად ყოფილა, მას ძველად ბევრი ადგილ-მამულები ჰქონებია შეწირული და ჰყოლებია აგრეთვე ამ მონასტერს საეკკლესიო ყმები. აქ ყოფილა არხიმანდრიტი და სხვა ბერები. ამ მონასტერში ყოფილა გაზდილი ილარიონ არხიმანდრიტი, უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მოძღვარი, რომელიც 1864 წ. გარდაიცვალა ათონის მთაზედ. 1820 წელში, როდესაც იმერეთს აბუნტება დასწამეს, ერთად ქუთათელ და გენათელთან ტაბაკინის მონასტრის არხიმანდრიტიც ნიკოლოზიც წაუყვანიათ რუსეთში და მონასტერი დაშთენილა დაობლებული. ეს მონასტერი შტატის ეკკლესიად შერიცხეს და საეკკლესიო მამულებს ხაზინა განაგებდა. 1872 წ. ყველა საეკკლესიო მამულები გადავიდა სამოქალაქო უწყებაში, მაგრამ ამ მონასტრის მამულები უმეტეს ნაწილად არქიერის სასახლეს მიაკუთნეს. ერთ დროს შემკობილი და მდიდარი მონასტერი დღეს შტატის ეკკლესიად ირიცხება. ამ მონასტრის არხიმანდრიტი, რომელიც სიბერის დროს გამოუშვით რუსეთიდამ, დაბრუნებულა და ზარეჯის მონასტერში უცხოვრია დასასრულამდე. იმას შეუწირავს ერთი ხელი მშვენიერი შესამოსელი და სხვა საეკკლესიო ნივთები. ამ ეკკლესიაში ვნახე ერთი ამაღლების ხატი ოქროთი მოჭედილი, რომელზედაც არის შემდეგი წარწერილობა მშვენიერი ქართული ასოებით: ,,ბრძანებითა ღვთისათა ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღლებისათა, მე ჩხეიძემ ბოქაულთ უხუცესმა ბატონმა თეიმურაზ ჟამთ გამოცვლილობით ძველთაგან ჩვენის სახლის დანაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი მეფის ბაგრატის ბრძანებით მალიად ჩემის ხრმლით დავიჭირე, რადგან ჩემმა მოწყალემ ამდენი ხელი მომიმართა, ვიგულე და ვიგულს მოდგინე ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უცოდველესმა მე თეიმურაზ და თანა მეცხედარემ ჩემმა ჩხეიძის ასულმა ბატონმა თამარ ხელთაგან თათართა მიერ დალეწილი ხატი ესე ამაღლებისა შევამკევით მურასთ თვალითა და მარგალიტითა ჩვენ სადღეგრძელოდ, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად და ცოდვათა ჩვენთა საოხად დღესა მას საშინელსა განკითხვისა ჩემისასა". ქორონიკონს ტოდ-სა. იყო დრო, როდესაც ეს მონასტერი სწავლას ჰფენდა ხალხში; მაგრამ დღეს მოძღვრებაც აღარ ესმის ხალხს ამ მონასტრიდამ, რომელიც სამრევლოს ეკკლესიად დაუნიშნავსთ. ამ ეკკლესიას სამი სამწირველო ჰქონებია, მაგრამ დღეს ერთ ტრაპეზზედაც ძლივს სრულდება წირვა... საკვირველია, რა აცხოველებდა წინეთ ამისთანა ალაგებში მონასტრებს და რა დაემართა დღეს მათ?..

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### VII.

Ⴂლუქდილი თავის ისტორიის შესავსებლად ჩვენ აქ კიდევ დაუბრუნდებით წარსულს დროს და მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს.

გამეფება საქართველოში ბაგრატიდებისა ანუ ბაგრატიონებისა მოჰხდა 586 წელს ქრისტესით. მათი გენეალოგია წარმომდინარეობს წინასწარმეტყველის დავითისაგან, მეფისა ურიასტანისა. პირველი ბაგრატიდი გურამი გონიერად შეუდგა ხალხის წარმართვას და ეკკლესიის სამსახურს. სხვათა შორის მან აღაშენა თბილისის დიდი სიონის სობორო *) და აგრეთვე მცხეთის გალმა გორაზე ჯვრის ანუ, როგორც ეხლა უწოდებენ, ჯაჭვის ეკკლესია. ამ მეფის 3 წლის მეფობის თავზე, როდესაც ჯერ საქართველოში მკვიდრად იყვნენ სპარსელნი მათი ცეცხლ თაყვანის-მცემლებითურთ, იწამა ქრისტესთვის ესტატე მცხეთელი. ეს ჩამომავლობით იყო სპარსელი: ,,მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ არბუკეთისა, ქალაქისა განრაკილისა ვიყავ, მამა ჩემი მოგვი იყო და მეცა მოგვობასა მასწავებდა და მე მოგვობა არა თავს ვიდევ, რამეთუ განრაკს ქალაქსა ქრისტიანენი უფროს არიან და ეპისკოპოზი და მღვდელნი და მათგანთა ყოველსა ზედა მივიწიე, რამეთუ უფროს არს ყოველსა ჰსჯულსა ქრისტიანობა, ვიდრე ულვთოება და აწ მე ქრისტე მრწამს და ქრისტეს მსახურებასა შინა ვარ," ასრე ეუბნებოდა სპარსთა ჯარის უფროსთა ესე ესტატე, რომელიც სპარსეთით მოსულიყო საქართველოში და ეწამა სჯული ქრისტესი. ამნაირმა სიტყვა-პასუხმა გააბრაზა სპარსელთ წარმომადგენელნი (მარზაპანნი) და ესტატეს, ბევრის წვალების შემდეგ, ,,მიყვნეს ხელნი მისნი მის ზედა და ჰსცეს მახვილითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკვეთეს თავი მისი 589 წელსა 29 ივლისსა"

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დიდისა ტაძრისა ამის აღშენება არ დასრულდა ერთისა მეფისა მეფობაში. მისი საძირკველი ჩაჰყარა ვახტანგ გორგასლანმა (446—499 წ.) სახსოვრად ღვთის-მშობლის მიძინებისა. მისი შენება გაგრძელდა მეფის დაჩის დროსაც (499—514 წ.), გურამ-კურაპალატისასაც (+ 599 წ.) მხოლოდ ადარნასემ დაასრულა მისი შენება.

ქალაქ ტფილისსა. გვამი ესტატესი წაასვენეს მცხეთას და დაასაფლავეს საკათოლიკოსო ეკკლესიასა მცხეთისასა *).

ჩვენ აქ ვიტყვით, რომელ თუმცალა მრავალნი მტერნი ქრისტეს ეკკლესიისანი ჩვენს ხალხს სდევნიდნენ, უქადოდნენ სრულიად ამოჟლეტას და ქრისტიანობის დამხობას, აღსასრულებელად დავითის წინასწარმეტყველობისა: ,,ჩემთვის ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, ჩემთვის ჰზრახვიდეს ბოროტსა" (ფსალ. 40, 7), მაგრამ საქართველოში ქრისტეანობას ისეთი ძლიერი წარმომადგენელნი ანუ მქადაგებელნი ჰყვანდა, რომელ არა-თუ მტრები ამხობდენ ქრისტეანობას, არამედ უფრო მტკიცდებოდა და უმეტეს ვრცელდებოდა იესოს სწავლა ხალხში და უფრო დიდ მანძილზე გადადიოდა ქადაგების ასპარეზი ქართველთა მოღვაწეთა. ქართველნი მქადაგებელნი არა თუ ჰკარგავდნენ ცხოვართა თვისთა სამწყსოისათა, არამედ ძლიერის და ტბილის თვისის სიტყვით და სწავლით თვისთა სამწყსოთა აძლიერებდენ და ამრავლებდენ უცხო თესლთა გაქრისტიანებით. ეს ახალნი ცხოვარნი ისეთ მოკრძალულ-მოშიშნი შეიქნებოდენ ხოლმე, რომელ სიხარულით თავს სდებდენ ქრისტესთვის, თუ საჭირო შეიქნებოდა. ამ გვარ პირთ ეკუთვნის წმიდა აბო **).

,,ესე ნაშობი იყო აბრაამეანი, ძეთაგან ისმაელისათა, ტომისაგან სარკინოზისა (არაბი)." ეს აბო თვრამეტი წლისა იყო და ბაღდადის ქალაქიდამ ქართლის ერისთავს ნერსეს წამოჰყვა საქართველოდ (786—794 წ.) ,,იყო იგი ხელოვან კეთილად შემზავებელი სუნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთათა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაამისთა, ნაშობთა აგარისთა." საქართველოში მას დაუწყეს ქადაგება და სწავლება. ,,იწყო ზედა მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა სჯულისათა... მარადის ისმენს წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთასა და მრავალთაგან სჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ."

ასეთი ძალა ჰქონდა სამღვდელოებას ამ დროს, თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ საქართველო დამოკიდებული იყო სარკინოზთაგან, რომელნიც სდევნიდნენ არა თუ გაქრისტეანებულთა თვისთა თესლთა, არამედ ნამდვილ ქრისტეანებსაც.

როდესაც სარკინოზნი აპირობდენ ქართლის ერისთავის ნერსესის მოკვლას, მაშინ იგი ოსეთის კარებიდამ აბოთურთ ,,შევიდა ქვეყანასა ჩრდილოსასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკო ძეთა მაგოგესთა, რომელ არიან ხაზარნი." ხაზარეთის ქვეყანაში ზოგიერთგან იყვნენ ეკკლესიანი და აქ აბო მოინათლა ქრისტეანებრივად და მემრე ნერსესთან ერთად წავიდა აფხაზეთში და იქ აბომ თვისის ლოცვითა, მარხვითა და ღვთის დიდებითა განაკვირვა ყოველნი ქრისტეანენი. ამასობაში საქართველოში მყოფმა სარკინოზთა ამირმა მაჰდი მუმლმა აპატივა ნერსეს და მოიწვია ქართლადვე. მას მოჰყვა აბოცა, რომელიცა შეიპყრეს და მოიყვანეს ტფილისს და სთხოვეს დაეტევა სჯული ქრისტესი, ხოლო მან არა ინება, ,,მაშინ უბრძანა (ამირა მსაჯულმა) ხელით და ფერხით შეკვრა მისი ბორკილითა რკინისათა და ეგრეთ შთააგდეს იგი საპყრობილესა." ვერც დიდი ხნის მწყვდევამ, ვერც სხვა გვარმა დასჯამ ვერა შესძრკეს რწმენა აბოსი, რომელიც ბოლოს აწამეს სარკინოზთა, მოჰკვეთეს თავი და ავლაბრის ხიდთან, ,,ადგილსა საგოდებელსა," დაასხეს მისსა პატიოსანსა გვამსა ნავთი და დასწვეს სრულიად *).

ამავე ხანებში ძლიერება არაბთა ანუ სარკინოზთა ავიდა უმაღლეს წერტილზე, რის გამო მთელი მცირე-აზიის ქვეყნები, ჩრდილოეთი აფრიკა და ესპანია დაპყრობილ იქმნა მათგან. ამავე დროებში საქართველოს ერთობა დაირღვა: იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი შეერთდნენ და დააარსეს საკუთარი სამეფო—აფხაზეთისა. 790 წელს ერთმა თავადმა—გრიგოლმა სცნო თავი თვისი დამოუკიდებელ მმართველად ანუ ქორიკოზად კახეთისა. ქართლი, სომხითი და სამცხე დაშთნენ სამეფოდ საქართველოისა.

მოსე ჯანაშვილი.

---

*) მისდა სურვილსა ზეცად აჰყავს ევსტათი
დედა ქალაქსა მცხეთას, მხუფევი ღირსად.
ტანჯვით განცდილი, ხოლო ქედსა იხრმალავს.
მცხეთას დედას სძლობს, თავსა გვამის განკერძვით.
მტვერს ტფილისს აბნევს, ხულსა აქრისტესხელებს.

თქმული ნიკოლოზ ტფილელის მიერ.

**) მოთხრობა წმიდა აბოზე დაწერილია სახას ძის მიერ ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა ქათალიკოზისა, რომელიცა თანამედროვე იყო წმიდისა აბოსი.

*) სხვა მტჯფრი მტვერსა, ტრფიალისამო აბო,
ქართლს განამშვენებს, ტფილისსა ემზეების.
ქედსა იხრმალავს, ცეცხლით განიბრგმედავს.
მტკვარს იემბაზებს, ანგელოსთაგან აღმოზავლით
და ულამსა ნათელსა განიმერმებს..

ნიკოლოზ ტფილელი.

## „შრომის“ მყოფ რედაქტორს ბ. დ. დადიანს.

„მწყემსის“ მე 13 №-ში ჩვენ ვსთქვით ორიოდე სიტყვა შესახებ „შრომის“ მოსპობის და ზოგიერთა ხელის მომწერთათვის ფულების დაბრუნების თაობაზე. „დროების“ 148 №-ში ბ. დ. დადიანმა მოგვთხოვა სიის წარდგენა იმა ხელის მომწერთა, რომელთაც ფული შემოუტანიათ „შრომის“ გამოსაწერად; ამასთან გვთხოვს წარვადგენინოთ მასთან გაზეთის ფული იმათიც, ვისაც ესრეთი არ შეუტანია.

ყველა რედაქტორებს აქვს დავთარი, რომელშიაც გაზეთზე ხელის მოსაწერ ფულებს სწერენ. რასაკვირველია, ამ დავთრიდამ უადვილესად შეიტყობა ვისაც ფული აქვს შემოტანილი და ვის რამდენი უნდა დაუბრუნდეს უკანვე. დიდი უსინდისოება არის კაცმა გაზეთი დაიბაროს და გაზეთის გამოსაწერი ფული აღარ მისცეს წლის ბოლოს. ჩვენ არ გვჯერა, რომ რომელიმე მღვდელს გაზეთი მოეთხოვოს და მას ფული აღარ შემოეტანოს. თუ რედაქცია თავისით, მუქთად ურიგებდა მათ „შრომას“ და ისინი კი აცხადებდნენ, როგორც თვითონ ბ. დ. დადიანი იწერება, „არ გვინდა, ნუ გამოგვიგზავნით“, რასაკვირველია, შეუძლიათ არ შემოიტანონ ფულები. მართალია, „მწყემსის“ რედაქტორსაც უკანასკნელი ექვსი თვის გაზეთის ფული 3 მან. და 50 კ. არ აქვს წარდგენილი. მაგრამ ისიც რისთვის? „შრომის“ რედაქცია მასს უგზავნიდა მოუთხოვნელად, უფასოდ „შრომას“ და „მწყემსის“ რედაქტორი მასს უგზავნიდა ორ-ჯერ მეტ საფასო თავის შრომას. ამას ამტკიცებენ „შრომის“ ფურცლები. მე ძლიერ მიკვირს, კაცს ორი მანეთი ემართოს ვისიმე და სამ მანეთ ნახევარს სთხოვდეს მასს!.. ეს წესი სუფევს ჟურნალ-გაზეთებში და ჩვენც ასე გვეგონა და თუ ამისთანა წესს უარჰყოფს ბ. დ. დადიანი, მაშინ ჩვენ გაუგზავნით მას 3 მან. და 50 კ. „შრომის“ ფასს.

„ხანამდის შეგვეძლო, ბრძანებს ბ. დ. დადიანი, ჩვენი ღონის-ძიება არ დაგვიკლია ამ საქმის სამსახურისათვის.“ ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ ბ. დადიანს შეეძლო როდისმე გაზეთის გამოცემა, დღეს უმეტესად შეუძლია. პირველმა სიტყვებმა: „ჩვენ გაზეთის საქმეს შევსწირავთ ჩვენ ქონებას,“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მაგრამ არ გვეგონა, თუ ბოლო ასე გათავდებოდა. ჩვენ სრული თანახმა ვართ, რომ, როგორც სხვა რედაქტორებს, ისე ბ. დადიანსაც ზოგიერთი პატივ საღები მიზეზებიც აბრკოლებდნენ, მაგრამ ყველას დასძლევდა საქმის მომდომა, შრომა, მუყაითობა და საქმის გულით და სიყვარულობით ხელის მოკიდება. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა გამოვსტყდეთ, რომ ეს გვაკლია ყველას და ჩვენში ამიტომაც არ ეძლევა დიდი დღე ზოგიერთ დაწყებულ კეთილ საქმეს...

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ იბეჭდება და მალე დროში გამოვა ერთი პატარა წიგნი—„საქართველო ანდრია მოციქულის დროს“.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზაქარა ჭიჭინაძეს მოუპოვებია ანტონ კათალიკოზისაგან დაწერილი ვრცელი ხელთ ნაწერი გრამატიკა. დაწერილია შესანიშნავი მშვენიერის ხელით, სუფთად დაცულია წიგნი და ყოველივე კარგათ სჩანს ზედ. გამოცემა მის უოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრე ეპისკოპოსისათვის გარდუცია. რედაქციას უფ. ნიკო მთვარელოვი კისრულობსო.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ მღ. სამადოვს განუძრახავს, რომ ქართულს ენაზე რამე ძველი სასარგებლო წიგნები გამოსცეს. სხვათა შორის, მას ხელში ჰქონებია არსენ კათალიკოზის წიგნი „ბრძემლი,“ ანტონ კათალიკოზის „მარტირიკა“ და რამდენიმე ძველი ქადაგებანი. შევიტყეთ ისიც, რომ ამ პატივცემულს მამას, რადგანაც შეძლება და გარემოებანებას არ აძლევს, რომ თავის საკუთარის საშუალებით გამოსცეს ეს წიგნები, ამის გამო მას განუძრახავს ხელის მოწერის გამართვით გამოცემა ამ წიგნებისა. დაბეჭვდის შემდეგ ყოველი გამოცემა ხელის მომწერლებთ დაურიგდებათო.

***

ოკვე დამტკიცდა უმაღლესად პროექტი სამრევლო სკოლების დაარსების შესახებ, რომლების გახსნა და მართველობა ეკუთნება სამღვდელოებას. ამ სკოლებში სწავლა გაგრძელდება ორი წელიწადი და ზოგში ოთხი წელი. ეს სკოლები იქმნებიან სასულიერო წოდების გამგეობაში; სახალხო განათლების მინისტრისგან დანიშნულ რევიზორებს შეუძლიათ დახედონ ეს სკოლები, მაგრამ თავისი აზრი

და შეხედულება ამ სკოლების შეწახებ უნდა განუცხადონ სკოლების გამგეთა, ანუ ეპარხიის მღვდელ-მთავართა, რომლებთანაც უნდა იქმნეს დაარსებული სამასწავლებლო რჩევა. საიმედო და სასარგებლო პირები ეკკლესიისა და სკოლებისათვის უნდა იქმნენ ამორჩეულნი ეპარხიის მღვდელ-მთავრისაგან სასწავლებლის მზრუნველებათ და დამტკიცებულნი სინოდისაგან, ობერ-პროკურორის თანხმობით. ერთი მზრუნველი უნდა მართავდეს რამოდენიმე საბლაღოჩინო სამრევლო სკოლებს. ამისთანა მზრუნველი ამასთანავე იქმნება წევრი საეპარხიო სამასწავლებლო რჩევისა. თითოეულ საბლაღოჩინოში იქმნება თითო მღვდელი ზედამხედველად. ყოველ სასულიერო სემინარიასთან იქმნება საკვირაო სკოლა დაარსებული.

***

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ამ წელში მღვდლების ჯამაგირი ისევე იმდენი გამოსულა, რამოდენიც წარსულ წელში იყო გამოსული. ამ ჯამაგირის მომატებაზე შემდეგ წლებში ცნობები იკრიბება და შემდეგისთვის, იმედია, დანიშნულ ჯამაგირს სრულათ მისცემ სამღვდელოებას.

## ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

არც ერთ დროში ის უბედურება და დავიდარაბა არ ყოფილა დრამის მობოჭაზე მღვდლების სასარგებლოდ, რაც დღეს არის. დრამას უკლებლად იღებენ სოფლის მოხელეები და მრევლიც არსად უარს არ ეუბნება მათ, მაგრამ ამ მობოჭილ დრამის ფულებს სოფლის მოხელენი სჭამენ და მათგან ველარ ღებულობენ მღვდლები. ამის შესახებ „დროების“ **147**-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს:

„ზნეობა და მატერიალური მდგომარეობა ხალხისა ბევრად მაღლა აიწევდა, რომ თითქმის ერთად ერთი პირი, სოფლის მღვდელი, რომელიც განათლების გარდა, სათნოებისა და კეთილის ცხოვრების მაგალითის წარმომადგენელი უნდა იყოს თავის მრევლში, უფრო მეტის განვითარების პატრონი იყოს, მეტი ენახოს და მეტი ესმოდეს ქვეყნიერებისა. ამას გარდა, თვით ურთიერთობა, რომელიც მღვდელსა და მრევლს შუა არის ჩამოვარდნილი, ხელს ვერ უწყობს მტკიცე ზნეობრივს კავშირს, ერთობისა და სიყვარულის გრძნობას. ერთს საუკეთესო საშუალებად იმ გარემოების წინაამდეგ, რომ სამწყსოს ჩვენს სულიერ მამებზედ გული არ აუცრუვდეს და ისევ ძველებური, უანგარო, მამაშვილური დამოკიდებულება ჰსუფევდეს და სახსრად იმისათვის, რომ მრევლი უყურებდეს თავის მღვდელს, როგორც სულიერს მამას, ზნეობის გამწრთვნელს, ცხოვრების კეთილ გზაზედ დამყენებელს და არა ტყავის მაძრობელს, ცნობილ იქმნა მოსპობა რომელიმე მატერიალურის კავშირისა, რომელიმე ანგარიშისა მათ შორის და მოშეტებულად ამოკვეთა იმ ჩვეულებისა, რომლის ძალითაც მღვდელი იძულებულია თავის საარსებო ლუკმისათვის თავის მრევლს მიადგეს კარწინ ტომრით და ჩანახით, და კარ-და-კარ ჩამოითხოვოს დრამის პური.

ამ მოსაზრებით მოსპობილ იქმნა ჯერ ხორაგეულის გარდახდევინება და მერე დრამაც კომლზედ ორი მანეთი დაწესდა მღვდელთა სასარგებლოდ, მაგრამ ეს ორი მანეთიც უკანასკნელმა თვით არ უნდა გადაახდევინოს, იგი უნდა აკრიფოს ან ადგილობრივმა ბლაღოჩინმა და ან სამაზრო ადმინისტრაციამ და ჩააბაროს მღვდელს. მაგრამ აქ ერთი შეუფერებელი გარემოება შეინიშნება: მაზრის ადმინისტრაცია ხშირად ფულის აკრეფას ანდობს ადგილობრივ მამასახლისებს და ესენი კი რას არ ჩადიან —ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის; ესენი ჰკრეფავენ ფულს გლეხებისაგან და როგორც ჰსურთ, ისე ატრიალებენ თითოსა და ორ-ორ წლობით თავიანთ სასარგებლოდ.

ამ გარემოების გამო საცოდავი მღვდლები ხშირად ულუკმა-პუროდ სხედან და შესცქერიან მამასახლისებს, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყენ და განაგრძელებენ თავიანთ ბოროტ-მოქმედებას. ამ ნაირი შემთხვევა ბევრგან ხდება, მაგრამ სვანეთში კი ერთობ ხშირია. იქ მღვდლებს ორი-სამი წელიწადი იქნება, რაც არაფერი არ მიუღიათ, თუმცა საცოდავ გლეხებს რის ვაი-ვაგლახით თავის დროზე აქვსთ გადახდილი.“

---

არ არის დიდი ხანი, რაც ერთ ფრანციის ქალაქს ტულონში გაჩნდა ხოლერა. თავ-და-პირველად არ შეიდვეს თავი, მაგრამ ხოლერა მერმე ამ ქალაქიდამ მარსელში გადვიდა. თითო დღეში, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, ორმოცდა ათობით იხოცებიან თითოეულ ქალაქში. პირველად ექიმები ამბობდენ, რომ ეს საშიშარი ხოლერა არ არისო, მაგრამ ამ ბოლოს დარწმუნდენ, რომ ეს ხოლერა აზიის

საშიშარი ხოლერა არისო. სამ საათში კლავს კაცს და შემდეგ სიკვდილისა კაცი ნახშირივით შავდება ორ საათში და ლპობას იწყებსო. ფრანციის მართებლობამ ორი მილიონი ფრანკი (ფრანკი ხუთ შაურზე ცოტა მეტია) გადასდვა ხოლერასთან საბრძოლველად და ყველაფერ ღონის ძიებას ხმარობს მის მოსასპობელად.

ჯერ არის დიდი ხანი, რაც გერმანიის მართებლობამ გაგზავნა ტულონში გამოჩენილი ექიმი კოხი ამ ხოლერის შესატყობლად და გამოსაკვლევად. კოხმა გაიარა პარიჟში, სადაც დიდი პატივის ცემით მიიღეს ის. იქიდამ კოხი წავიდა ტულონში; აქ ნახა ხოლერიანები და შენიშნა, რომ ეს ხოლერა საშიშარი აზიური ხოლერა ყოფილა. მისი აზრის შესახებ „ნოვოე ვრემიაში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს სხვათა შორის:

ბერლინში მართებლობამ მიიღო დოკტორი კოხის მოხსენება ტულონში გაჩენილ ხოლერაზე. დოკტორი კოხი აცხადებს, რომ ტულონის ხოლერა უეჭველად აზიის ხოლერა არის. წინეთ ექიმები არ რაცხდენ საშიშრად ამ ხოლერას, მაგრამ საქმით სჩანს, რომ ეს ხოლერა ძლიერ საშიშარია. კოხის აზრით, ძლიერ საფიქრებელია, რომ ტულონიდამ და მარსელიდამ ხოლერა მთელს ევროპაში გავრცელდეს. დოკტორმა კოხმა სანიტარულ შეკრებილებაზე ქალაქ ტულონში გამოსთქვა თავისი შეხედულება ხოლერის გადადებაზე. აერში, სთქვა მან, არ არის გადამდები შხამი ხოლერისა და აერით ხოლერა არ ვრცელდება. ხოლერა არ გამოაჩნდება კაცს, ვიდრემდის ის მიკრობები ნაწლევებამდის არ მიაწევს. ხოლერა გადაედება კაცს უმეტესად წყლით და ხილეულობით. ხოლერის შხამი, ანუ როგორც კოხი უწოდებს, მიკრობები ხილებზეა ნამეტნავად და წყალში. ამისათვის ხილი არ უნდა იხმარონ, სადაც ხოლერა არის და წყალსაც ძლიერ უნდა მოერიდონ. ამასთან ავათ მყოფს სრულებით კარგა მყოფნი არ უნდა მიეკარონ. ტანისამოსი და საცვალები ხოლერიან ავათ მყოფთა უნდა დასწვან. ხოლერობის დროს ძლიერ საშიშოა ჭის წყლის სმა და რძის ხმარება. რძე ხოლერობის დროს ძლიერ მავნებელია, რადგან ხოლერის შხამი ძლიერ ბუდობს რძეში. საუკეთესო საშუალება აერის გასაწმენდათ ხოლერობის დროს არის კარბოლოვის სიმჟავე. მოსარჩენი წამალი ხოლერისა და მოსასპობი საშუალება არაფერია. ყველაზე უკეთესი საშუალეებაა, რომ კარგა მყოფები სრულებით განშორებული იქმნენ ავათ მყოფებისაგან და არაფერი კავშირი არ დაიკავონ იმ ქალაქის მცხოვრებლებთან, სადაც ხოლერა არის, ვიდრემდის სულ არ მოისპობა იგი.

## წესდებულება:

ძმობის, შეწევნისათვის ღარიბთ მოსწავლეთა თბილისის მართლმადიდებლის სასულიერო სემინარიისა. *)

§ 1) ძმობა დაწესდების სემინარიასა შინა, სახსოვრად ოც-და-ხუთის წლის ბედნიერისა მეფობისა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, შემწეობის მიცემისათვის ნაკლულოვანების მქონებელთ სემინარიის მოწაფეთა.

§ 2) საშუალებანი ძმობისა შესდგებიან: ა) ყოველ წლივ შემოსატანის ფულისგან ნამდვილთ წევრთაგან; ბ) შემთხვევითის შემოწირულთაგან ფულით ჲ ნივთებით ჲ გ) შემოსავლისაგან საზოგადო საკითხავისა სარწმუნოებისა ჲ ზნეობითისა ჰაზრისა ჲ სხვათა მსგავსთა.—

§ 3) ძმობა იმყოფების უსაშუალოდ მფარველობასა ქვეშე მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა საქართველოს ექსარხოსისა ჲ შესდგების ძმობა ესე პირისაგან ორისა სქესისაგან, ჲ ყოვლის წოდებისა ჲ საზოგადოებისაგან, რომელნიცა სცხოვრებენ კავკასიაში ჲ სხვათა ადგილთა ჲ შემოიტანენ ფულსა, ანუ ნივთთა ეგრეთვე იმა პირთაგან, რომელნიცა შეეწევიან ძმობასა ამა კეთილს განძრახულებაში თვისისა შრომითა.

§ 4) ის პირნი, რომელნიც შემოიტანენ ყოველ-წლივ ხუთს მანეთს საძმო ხაზინაში, იწოდებიან ნამდვილ წევრებად.

§ 5) შემომწირველნი ნაკლებ ხუთის მანეთისა წელიწადში, ეგრეთვე შემწენი შემოწირვით წიგნებთა ტანისამოსთა ჲ სხვათა ნივთებთა, ირიცხებიან თანამგრძნობელ წევრად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც თანამგრძნობელი წევრი, რომელიც ყოველ წლივ შემოწირავს უმეტეს საჩინო ნივთთა, მაშინ საზოგადო ძმობის კრებას აქვს უფლება შერიცხოს იგი ნამდვილ წევრად.

§ 6) რომელნი პირნიც ერთბაშათ შემოიტანენ არა ნაკლებ ხუთის თუმნისა, ისინი იწოდებიან თავის სიცოცხლეში წევრად ჲ თავისუფალ არიან ძველისა წლიურისა ფულის შემოტანისაგან.

§ 7) ის პირნი, რომელნიც შემოიტანენ წელიწადში არა ნაკლებ ათის თუმნისა, ეგრეთვე ის პირნი რომელნიც თავის შრომით აჩვენებენ ძმობას მათს სამსახურს, ძმობის გარდაწყვეტილებით საზოგადო შეკრებილებისა იმ პირთ მიათვისებს წოდებასა საპატიო წევრისა.

*) ვბეჭდავთ ჩვენ ამ წესდებას შეუცვლელად თანხმად თფილისის სემინარიის რექტორის თხოვნისა.

რედაქტორი.

§ 8) მმართველობა საქმეთა ძმობისა ეკუთვნის: 1) საზოგადო კრებისა წევრთა, როგორც ნამდვილთა, ეგრეთვე საპატიოთა და 2) მმართველ კომიტეტსა.

§ 9) საზოგადო შეკრებილებანი იქმნებიან ჩვეულებრივნი და საჩქარონი, უკანასკნელი შეკრებილებანი იქმნებიან ან მოთხოვნილებისაებრ მისი მმართველი კომიტეტისა და ანუ მეოთხედის ნაწილისა ნამდვილთა წევრთა, რომელიც მაზედ შეიტანს წერილობით განცხადებას კომიტეტში.

§ 10) ჩვეულებრივ საზოგადო კრება ძმობისა იქმნების წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში, და იმა ადგილას იქმნება, რომელსაც დანიშნავს მმართველი კომიტეტი.

§ 11) საზოგადო კრებაში თავმჯდომარედ იქმნება საქართველოს ეგზარხოსი, ანუ ვიკარნი ეპისკოპოზი, და უკეთუ არც ერთი და არც მეორე არ იქნებიან, მაშინ თავმჯდომარედ იქმნება მმართველის განკარგულების მქნელის კომიტეტისა.

§ 12) საზოგადო კრება შეირიცხების ნამდვილად მაშინ, როდესაც იმ კრებაში იქმნებიან არა ნაკლებ ნახევარის ნაწილისა ნამდვილ წევრთა, რომლებიც სცხოვრებენ თბილისში.

შენიშვნა: 1) საზოგადო კრებაში შეიძლება იყვნენ თანამგრძნობელნი წევრნიც, რომელთაც ექმნებათ ხმა რჩევისა. 2) უკეთუ საზოგადო კრებაში არ შეიყრებიან იმდენი ნამდვილნი წევრნი, რამდენიც უნდა იყვნენ წესის მოთხოვნილებით, მაშინ საქმეები გაირჩევიან— შემდგომ კრებაში იმ წევრთა მიერ, რაოდენიც თვალად იქმნებიან.

§ 13) საზოგადო შეკრებილების გარდაწყვეტილებასა უკეთუ იგი არს დადგინებული მომატებულის წევრების ხმითა, აქვს ძალა და უკეთუ საქმის გარდაწყვეტილების დროს ორივეს მხრით იქმნება თანასწორი ხმა წევრებისა, მაშინ გარდაწყვეტილება საქმისა დარჩების იმ მხარეს, საითაც მხარეს დაეთანხმება, თავმჯდომარე.

§ 14) საზოგადო წლის კრებაში ძმათა პირველად წარიკითხების წლის ანგარიში მოქმედებისათვის ძმობისა, ვითარი ანგარიშიც უნდა წარადგინოს კრებაში მმართველმა მქმნელმა კომიტეტმა, მეორედ იქმნება აღრჩევა კომისიის წევრთა, რომელმაც უნდა შეამოწმოს ფულის შესავალ გასავალი და ქონება ძმობისა, მაგრამ ეს წევრები კომისიისა უნდა იყვნენ აღრჩეულნი, არა წევრთაგან მმართველის კომიტეტისა, განხილვა შესავალ გასავლისა და ქონებისა უნდა მოხდეს წიგნებით და საქმებით; მესამედ აღარჩევენ პოჩოტნი პატივცემულ წევრად იმ პირთა, რომელთაც რაიმე საშუალებით უჩვენებიათ ძმათათვის შესანიშნავი სამსახური.—განიხილებიან საშუალებანი, რომლებითაც უფრო კარგად აღსრულდებოდეს მიზანნი ძმათა მომავალს დროებაში, და მეოთხედ აღირჩევიან წევრნი განკარგულების რიგის მიმცემის მქნელის კომიტეტისა და სხვანი ამ გვარნი საქმენი.

§ 15) მმართველი კომიტეტი შესდგების შვიდი წევრისაგან რომელთა შორის რეკტორი სემინარიის არის აუცილებელი წევრი; ხოლო დანაშთენნი ექვსნი გამოირჩევიან საზოგადო ყრილობისაგან თანხმად მეჩვიდმეტე პარაგრაფისა ამა წესდებულებისა.

შენიშვნა: კომიტეტში შეირიცხების ინსპექტორიცა სემინარიისა რჩევის ხმით, თუ გინდ რომ არ იყოს იგი აღრჩეული წევრად რიგის მიმცემის მმართველის კომიტეტისა.

§ 16) კომიტეტის მოვალეობა არის: პირველად მზრუნველობა განდიდებისა საძმო საშუალებათა და საზოგადოდ გამოძებნა ზომიერებათა უმჯობესისა მიღწევნისათვის მისის მიზნისა, მეორედ, აქვნდეს მეცადინეობა, რომ წევრების ფული შემოტანილა თავის დროს უნაკლულოდ, მესამედ განსჯა მოსწავლეთ საჭიროების რაოდენობის და მისცემს მათ თავის დროზედ საჭირო შემწეობისა მიხედვისამებრ საძმო საშუალებისა, და მეოთხედ, წარმოება მომდინარე ანგარიშისა, საძმო ფულებისა და შედგენა წლიურის ანგარიშისა — ძმობის მოქმედობაზედ.—

შენიშვნა: შემწეობანი; რომელსაც მისცემს კომიტეტი, უმთავრეს ნაწილით შეიცვლებიან მიცემაში საჭიროების მქონებელთ მოწაფეთადმი წიგრთა და სხვათა შემწეობათა და სწავლის კუთვნილებათა და საზოგადოდ მინიჭებაში მოწაფეთა საშუალებისა, რომ მათ შეიძლონ განვრცელება სწავლისა.

§ 17) წევრნი მმართველის კომიტეტისა აღრჩეულ იქმნებიან საზოგადო კრების-მიერ ყოველ-წლივ ნამდვილ წევრთაგან, მცხოვრებთა თბილისსა შინა და სურვილის გენჯის ყრითა და დამტკიცდებიან იმა წოდებაში მომეტებულის ხმითა.

შენიშვნა: კანდიდატებად მმართველის კომიტეტის წევრებისა ირიცხებიან ის პირნი, რომელთაც მოუვათ მომეტებული ხმა.

§ 18) თავსმჯდომარე მმართველის კომიტეტისა, თავმჯდომარის მოადგილე, ხაზინადარი აღირჩევიან წევრთაგან მმართველის კომიტეტისა საზოგადო კრებაში, ხოლო საქმის მწარმოებელი აღირჩევის წევრთაგან მმართველის კომიტეტისა ყველა წევრნი კომიტეტისა მსახურობენ უჯამაგიროდ.

§ 19) ყრილობა წევრთა მმართველის კომიტეტისა იქმნების ყოველს ორს თვეში ერთხელ იმა დღეებში და საათზედ, რომელს დანიშნამენ თვით წევრები თავმჯდომარითურთ ურთიერთის თანხმობით, ხოლო საჩქარო

ყრილობა მათი მოხდება მაშინ, როდესაც მოითხოვს გარემოება.

§ 20) ყრილობა მმართველის კომიტეტისა შეირაცხების ნამდვილად, მაშინ, როდესაც შინა მონაწილეობენ არა ნაკლებ ოთხის წევრისა; საქმეები გადასწყდებიან მომატებულის ხმით.

შენიშვნა: როდესაც კომიტეტს შეხვდება განსაკუთრებითი საჭირო საქმე, მაშინ კომიტეტი მოახსენებს მაზედ ძმობის მფარველსა საქართველოს ექსარხოსსა.

§ 21) ყოველი განაჩენი კომიტეტისა ჩაიწერების საქმის მწარმოებელის მიერ წიგნში განაჩენთა.

§ 22) მიწერ-მოწერა ძმობის საქმეთათვის გარეშე პირთა და ადგილებთადმი იქმნების კომიტეტის სახელით ხელის მოწერით თავსმჯდომარისა და საქმის მწარმოებელისა.

§ 23) ყრილობის დროს კომიტეტისა თავსმჯდომარე წინადაუდებს იმა საგნებთა, რომლებზედაც უნდა მოილაპარაკონ, აგრეთვე ყურს უგდებს რომ იყოს წესიერება მოლაპარაკებისა და მსჯელობის დროსა, ამტკიცებს იგივე თავსმჯდომარე შესავალ-გასავლის წიგნებსა ხელის მოწერითა, ხელს აწერს ფოშტის აბიავლენიებზედა და სხვა ქაღალდებზედ ძმათ საქმეებისა.

§ 24) ხაზინადარის მოვალეობა არის განაგოს შინაგანი ნაწილი ძმობისა და აწარმოვოს მათ საქმეზედ ყოველი გასავალი, შემწეობით კომიტეტის წევრთა, შესავალ-გასავლის წიგნები და უნდა შეადგინოს ხოლმე წლის ეკონომიური ანგარიშები.

§ 25) შესავალ-გასავლის წიგნები ძმობის უნდა იყვეს ზონრან გაყრილნი, ყოველს ფურცელზედ ხელ მოწერილნი და დამტკიცებულნი თავსმჯდომარის-მიერ და საქმეთ მწარმოებელისა დაესვას ბეჭედი ძმობისა.

§ 26) შემოსავალი და გასავალი ფულისა უნდა თავის დროზედ ჩაიწეროს წიგნში შემოსავალ-გასავალი და ხელი მოსწერდეს სტატიებზედ: შემოსავლისა ხაზინადრის-მიერ, ხოლო გასავლები მიმღებელთ მიერ ფულებისა.—

§ 27) წიგნები და ფულები შემოწმდებიან კომიტეტის მიერ ყოველს შეყრილობის დროს.

§ 28) შესავალ-გასავლის წიგნები უნდა დაიცვას ხაზინადარმა, ხოლო სხვა დოკუმენტები ძმობის და საქმეები კომიტეტისა უნდა იქონიებოდეს საქმის მწარმოებელთან.

§ 29) სათავნო ფული ძმობისა შეიტანების დასაცველად და სასარგებლოდ ერთს რომელსამე თბილისის ბანკში.

შენიშვნა: დროებით შემოსულის წევრების ფულებს მიიღებს ხაზინადარი დასაცველად თავის პასუხის გებასა ქვეშე, ხოლო ოდეს შეგროვდება სამს თუმნამდის, შეიტანს ბანკში განსამრავლებელად და სარგებლით.

§ 30) საქმის მწარმოებელი კომიტეტისა განაგებს ყოველს მიწერ-მოწერის ნაწილსა ძმობის საქმეებზედ, აწარმოებს შესავალ-გასავლის ჟურნალებსა, შეადგენს კომიტეტის შეკრებულების განაჩენებს და კომიტეტის პასუხის ქაღალდებსა; ისივე შეადგენს საზოგადო წლის ანგარიშისა ძმათ მოქმედებაზედ და სხვათა იმისა მგზავსთა.

§ 31) ძმობას აქვსთ თვისი ბეჭედი.

§ 32) თვითეული ცვლილება და დამატება ძმობის წესდებულებაში შედგენილნი კომიტეტის-მიერ, განიხილვის საზოგადო კრებაში და დამტკიცდების დადგენილის წესით.

წესდებულება ესე დამტკიცებულ არს მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მიერ კზ-ს ოკტომბერს ჩყპ წელსა.

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

### სიტყვა,

თქმული ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიაში მ—ის დ. ღამბაშიძის მიერ მეორე გილდის ვაჭრის, ეკლესიის სტაროსტის, ა. გ. არდიაშვილის წესის აგებაზე 28 ივნისს 1884 წელსა.

ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე წარმავალი, და ცხოვრება ესე უბედ-გრეს აჩრდილისა და სიზმრისა, რამეთუ ცუდათ ჰშფოთებს ყოველი მიწით შობილი, ვითარცა ჰსთქვა წიგნმან. რამეთუ ოდეს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკვიდროთ, სადა იგი ყოველნი ერთბაშად დაემკვიდრებიან...

განსვენებული მონა ღვთისა ალექსი არ ეკუთვნოდა იმ ბედნიერთა დაბადებულთა რიცხვს, რომელთაც დაბადებიდგანვე მოელისთ ფუფუნებითი ცხოვრება, დედ-მამის ალერსი, მდიდრული, ტკბილი და მხიარული ცხოვრება. ის იყო ღარიბთა მშობელთა შვილი. მას არა თუ არ ჰქონდა ქვეყნიური სიმდიდრე, არამედ მთლად სხვას ეკუთვნოდა და უკანასკნელს თავისუფლებასაც მოკლებული იყო. დედ-მამისაგან ობლად დაშთენილი, თავის უფლებას მოკლებული, ის მრავალ სიმწარეს გამოვლილი იყო. ის ნიადაგ

შრომაში იყო, მაგრამ მისი მოუღალავი შრომა მისთვის უნაყოფოდ რჩებოდა. ბოლოს გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი. მიენიჭა ყველა მონებს თავის უფლება და მათში განსვენებული ალექსიც განთავისუფლდა. მოიპოვა თუ არა თავისუფლება, მან მიჰყო შრომას ხელი. მის შრომას, რომელიც წინეთ მისთვის უნაყოფო იყო, ფასი დაედვა. მისი შრომა და ცდა მის მდგომარეობას და ცხოვრებას მალე დაეტყო. მოუღალავი და ნიადაგი მუშაობით, გონივრული და სინიდისიანი შრომით მან მალე წამოიწყო ხელი და მის შესაფერად დიდი სიმდიდრე შეიძინა. იმ დროს, როდესაც მდიდარნი უთავბოლო და უზნეო ცხოვრებით მთელს სიმდიდრეს ფანტავდნენ და ზარმაცობდნენ, განსვენებული ალექსი თავისი ოფლით და შრომით სიმდიდრეს იძენდა და მართლაც Ⴖმერთმან მიანიჭა მას კარგი შეძლება. როდესაც ყველაფერი შეიძინა, როდესაც ყველაფრად მშვენიერად მოეწყო და ამდენი შრომისაგან დაღალული განსვენებას და მოსვენებულ ცხოვრებას მოელოდა, მაშინ საფლავს მიეცემა!.. ,,ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე წარმავალი და ცხოვრება ესე უბედკრეს აჩრდილისა და სიზმრისა, რამეთუ ცუდათ ჰშფოთებს ყოველი მიწით შობილი, ვითარცა ჰსთქვა წიგმან, რამეთუ ოდეს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკვიდროთ, სადა იგი ყოველნი ერთბაშად დაემკვიდრებიან.

Ⴗველა ეს სიმდიდრე არის, ძმანო, ნივთიერი განხრწნადი, რომელიც განსვენებულს არ წაყვება თან და ვერ მოიხმარს. ყოველი ნივთიერი სიმდიდრე და ქონება ამაოა განსვენებულისათვის, როგორც იტყვის ეკკლესიის მგალობელი: ,;ყოველივე ამაო არს კაცობრივი; რაოდენიცა რა ჰგიეს შემდგომად სიკვდილისა, არა დაადგრების სიმდიდრე, არცა თანა წარყვების დიდება, რამეთუ მოიწია სიკვდილი, და ესე ყოველი მყის ივავარ ჰყო‘‘.

Ⴥი, ძმანო ქრისტიანენო, რაი არს ჩვენი ნივთიერი სიმდიდრე! აი როგორ რჩება კაცს სიკვდილის შემდეგ თავის სიმდიდრე! აქედამ უნდა ვისწავოთ ჩვენ, ძმანო, და ვეცადოთ მოვიპოვოთ სხვა სიმდიდრე, რომელიცა არ დაშორდება კაცს სიკვდილის შემდეგ. ვეცადოთ, რათა შევიკრიბოთ: ,,საფასე, რომელი არა დაძველდეს და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა იგი მპარავი არა მიეხების, არცა მღილი განჰრყვნის.‘‘ (ლუკ. 12—33).

Ⴋართალია განსვენებული მონა Ⴖვთისა ალექსი ნივთიერად შეძლებული შეიქმნა თავის დიდის შრომით და მეცადინეობით, მაგრამ ის უმეტესად იყო მდიდარი სხვა მდიდარი საფასითა და საუნჯითა, რომელიცა არა განშორდება მისგან და არცა განქრება. მისი ნივთიერი სიმდიდრე სრულიად შესადარებელი არ არის მის ამ სულიერ სიმდიდრესთან. მის ჭეშმარიტ და მხურვალე სარწმუნოებას, მისს სასოებას და Ⴖვთის სიყვარულს ვერ შეედრება ვერც ერთი სიმდიდრე. ის იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე, რომელიც მხურვალე გულით ასრულებდა ყოველ ქრისტიანულ მოვალეობას. არ აბრკოლებდა მას ქრისტიანობის მოვალეობის აღსრულებაში არც სიღარიბე და არც სხვა რაიმე ქვეყნიური ზრუნვა, ამაო ამა წუთის სოფლისა.

Ⴈს ყოველთვის დანდობილი იყო Ⴖმერთზე და მის განგებულებაზე, ამისათვის ის ადვილად ითმენდა ყოველ გვარ ქვეყნიურ უსიამოვნებას, რომელიც პატარაობიდამ მრავალი შეხვედრია მას.

Ⴚხოველი Ⴖვთის სიყვარული მისი აშკარად იხატებოდა მის მოქმედებაში და საქციელში. ის ნიადაგ მზა იყო გლახაკთა შებრალებაზე და გაჭირვებულთა შეწევნაზე. მის ოჯახში ყოველს დღესასწაულ დღეებში იკრიბებოდენ გლახაკნი და საწყალნი, როგორც სასტუმროში და არავინ არ მიდიოდა უკან მშიერი. სნეულების დროს მრავალთა გლახაკთათვის მისი ოჯახი იყო სამოწყალო სახლი, სადაც ისინი განისვენებდნენ და თავს იფარებდნენ. ის იყო აღმზრდელი და პატრონი მრავალთა უმოწყალოდ გადაგდებულთა ყრმათა. რამდენი ამისთანა ბავშის სიცოცხლე დაუცავს მას Ⴖვთის სიყვარულობისთვის და გაუზდია კიდეც შვილის მსგავსად.

Ⴋაცხოვარი გვიბრძანებს ჩვენ, რათა პირველად ვეძიებდეთ სასუფეველსა Ⴖვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვეძინება ჩვენ (მათ. 3—ლგ.) ჭეშმარიტად განსვენებული მონა Ⴖვთისა ალექსი ნიადაგ პირველად ეძიებდა სასუფეველსა Ⴖვთისასა და სიმართლესა მისსა და ამიტომაც Ⴖმერთმან ესე ყოველი კიდეც შესძინა მას და მიანიჭა.

Ⴂანსვენებული მონა Ⴖვთისა ალექსი ყოველთვის მზად იყო თავის შეძლებით დახმარებოდა

გაჭირვებულთა და ყოველივე ღონისძიებით ცდილობდა, რომ მისი ცხოვრება ყოფილიყო სათნო ღვთისა და კაცთა.

ამიტომ შევევედროთ, ძმანო, ღმერთსა რათა მან მიანიჭოს განსვენებულსა მონასა ალექსის საუკუნო განსვენება, წმიდათა და მართალთათანა განუსვენოს, სადა იგი არს ნათელი ჭეშმარიტი და ცხოვრება დაუსრულებელი. ამინ.

# მართლ-მადიდებელის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების ახსნა და განმარტება.

## შესახებ მღვდლის და ერისკაცის დამარხვისა.

**ვინ არიან მოკლებულნი მართლმადიდებელთაგანი ქრისტიანული წესით დამარხვას?**

მართლმადიდებელ ქრისტიანთაგანნი მოკლებულნი არიან ქრისტიანულ დამარხვას: თავის მკვლელნი, თავის ნებით წყალში დამხრჩვალნი და განგებ მთვრალობით თავის მკვლელნი. თუ დამტკიცებული იქმნა, რომ ამისთანა თავის მკვლელობა შეემთხვა ვისმეს ჭკუის შერყევისა გამო, მაშინ ისინი არ იქმნებიან მოკლებულნი ქრისტიანულ დამარხვას.

**ვისი დამარხვა არ შეუძლია მღვდელს ნებადაურთველად პოლიციისა და გამომძიებელისა?**

მღვდლებს არ შეუძლიათ დამარხვა პოლიციის და ექიმის შეუმოწმებლად და ნება დაურთველად შემდეგთა გარდაცვალებულთა: 1) ნაცემობით ანუ ჭრილობით მკვდართა; 2) მოწამვლის ნიშნებით მკვდართა; 3) მავნე წამლების ხმარებით გარდაცვლილთა; 4) გარდაცვალებულთა, რომელთა სიკვდილის მიზეზი დაფარულია; 5) ნასულ გარდაცვალებულთა გვამისა; 6) გარდაცვალებულთა, რომელზედაც ხმა არის დაგდებული, რომ ცუდის ექიმობით მატყუარა ექიმისაგან მოკვდა იგი და 7) დამხრჩვალთა, გაყინულთა და მიმკვდარებულთა. (ცირკ. მიწერ. შინაგან საქმეთა მინისტრისა 15 იან. 1865 წლისა).

**შეიძლება თუ არა სხეულის გაჭრა შესამოწმებლად გარდაცვალებულთა: მღვდელთა, დიაკონთა და ბერთა?**

სხეულის გაჭრა გარდაცვალებულთა: მღვდლისა, დიაკვნისა და ბერისა არ შეიძლება ეპარხიის მღვდელ-მთავრის ნება დაურთველად და სასულიერო მთავრობის დეპუტატის დაუსწრებლად. ამისთანა შემთხვევაში დეპუტატებმა უნდა მიიღონ პირი ექიმის შემოწმებისა და წარუდგინონ მღვდელ-მთავარს. (უქაზ. სინოდისა იანვრის 16 რიცხვიდამ 1861 წ.)

ახალი სასამართლო კანონებით ამისთანა შემთხვევაში დეპუტატების მაგიერ ადგილობითი ბლაღოჩინები და მონასტრის წინამძღვარნი უნდა იქმნენ მიწოდებულნი გამომძიებელისაგან. (წესდ. სისხლის სამართლისა 69 სტ. 329 სტ.)

**რამდენი დღე შეიძლება გარდაცვალებულის დაუმარხავათ დაყენება?**

არავინ არ უნდა დაიმარხოს სამი დღის ადრე. მაგრამ, თუ გარდაცვალებული რომელიმე გადამდები სნეულობით იყო ავათ და ამ სნეულობით მოკვდა, მაშინ შეიძლება სამი დღის ადრეც დაიმარხოს. (მეთერთმეტე ტომის კან. სტ. 1563 და მეცამეტე ტომის კან. 917 სტ).

**როგორ უნდა აუგონ წესი გარდაცვალებულთა მღვდელთა, რომელთაცა წირვა-ლოცვის აღსრულება აღკრძალული ჰქონდათ?**

გარდაცვალებულ მღვდელს, რომელსაც ჩამოხდილი ანუ აღკრძალული ჰქონდა მღვდელ-მოქმედება, შეიძლება მღვდლებთათვის დადგენილი წესი აუგოს, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მღვდელ-მთავრის ნება დართვით.

როდესაც გარდაცვალებულს მღვდელს გაასვენებენ, წინ უნდა მიუძღოდენ ბაირახებით, ჯვარით და საზარებით.

**გარდაცვალებულ მღვდელს უნდა ჩაატანონ საფლავში თუ არა სკუფია და კამილავკა?**

სკუფია და კამილავკა სასულიერო ჯილდოა და მღვდელს უთუოდ უნდა ჩაატანონ საფლავში დახურული თავზე შემოსვის დროს. გარდაცვალებული მღვდელი კუბოში ჩასვენების დროს სულ ახალი შესამოსელით უნდა შემოსონ და არც ერთი შესამოსის ძველი არ უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკკლესიის წესისამებრ.

**რომელი წესი უნდა აღასრულონ მთავარ-დიაკონზე, მღვდლის, თუ ერის კაცის?**

კურთხევანში ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. ძველ დროში ვხედავთ ჩვენ, რომ მთავარ-დიაკვნის წესის აგება განსხვავებული ყოფილა ერის კაცის წესის აგებისაგან. რუსეთში ზოგან მთავარ-დიაკონზე ერის კაცის წესსასრულებენ და ზოგან — მღვდლისას. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამაზედ დაეკითხონ მღვდელ-მთავარს და მისი ნება დართვით აუგონ ის წესი, რომელსაც ის ინებებს და გარდასწყვეტს.

ვისგან უნდა იქმნეს მიცემული ნება თავის მკვლელთა ქრისტიანულად წესის აგებაზე და დამარხვაზე?

Თავის მკვლელნი, რომელნიც იყვნენ სრულ ჭკუაზე, შერყეულნი არ იყვნენ, კანონის ძალით ღირსნი არ არიან ქრისტიანული წესით დამარხვისა. ისინი უნდა იქმნენ წაღებულნი და უწმიდურ ადგილას დამარხულნი. მაგრამ, თუ თავის მკვლელობა შეასრულა ვინმემ უგუნურობაში და ჭკუაშეშლილობაში, მაშინ ამისთანა თავის მკვლელნი უნდა ქრისტიანული წესით დაიმარხონ. ამის გამოკვლევა და გამოძიება შეუძლია პოლიციას, გამომძიებელს და ექიმს. თუ გამომძიებელისაგან მღვდელმა მიწერილობა მიიღო თავის მკვლელის დასაფლავებაზე, მღვდელს შეუძლია დამარხვა შეასრულოს ყველა ქრისტიანული წესით. თუ ამისთანა ნებართვა მღვდელმა არ მიიღო გამომძიებელისაგან, არ შეიძლება თავის მკვლელნი დაიმარხონ სასაფლაოზე, ანუ მათზე აღსრულდეს რაიმე ქრისტიანული წესი...

როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, თუ გარდაცვალებულის სარწმუნოება არ იცის?

Ამისთანა გარდაცვალებულზე მღვდელმა არაფერი წესი არ უნდა აღასრულოს. მივიდეს, სადაც გარდაცვალებულია, შეიმოსოს და გამოუძღვეს წინ „წმიდაო ღმერთოს" გალობით და დაასაფლაოს.

როგორ უნდა მოიხსენოს მღვდელმა გარდაცვალებული, რომლისაც სახელი არ იცის?

Ყველა იმ ადგილას, სადაც შეხვდება გარდაცვალებულის სახელის მოხსენება, უნდა სთქვას: „მონა, ანუ მხევალი ესე შენი".

როგორ უნდა გაარჩიოს კაცმა მიმკვდარებული ნამდვილ გარდაცვალებულისაგან?

Როდესაც გარდაცვალებულის გვამს სუნი არ უდის და გარეთაც ტანზე გარდაცვალებულის მწვანე ხალები არ აჩნდება, მაშინ შეიძლება შემდეგი საშუალებანი ვიხმაროთ, რომ მიმკვდარებული ნამდვილი მკვდრისაგან გავარჩიოთ.

1) რომელიმე ალაგას აღულებული წითელი ლაქის წვეთი უნდა დაალვენთონ. ლაქა რომ ხორცის კანზე დაესხმის, თუ სხეულში სიცოცხლე აღარ არის, ლაქის ღვენთისაგან დამწვარი ადგილი გაშავდება. თუ კაცის სხეულში კიდევ სიცოცხლე არის, მაშინ დაღვენთული ალაგი გაწითლდება.

2) ღრმათ უნდა ჩაფლან ფოლადის ნემსი მიმკვდარებულის ხორცში და ცოტა ხანს იქით უნდა გამოიღონ. თუ ნემსმა ფერი არ იცვალა, მისი ნიშანია, რომ სხეულში სიცოცხლე აღარ არის, და, თუ ნემსი გაშავდა, ან სხვებრ იცვალა ფერი, ეს მისი ნიშანია, რომ კაცის სხეულში კიდევ მოძრაობს სისხლი.

3) გარდაცვალებულს ხელის თითები უნდა შეუერთონ ერთად და გაჭხედონ სამთელზე. თუ თითებ შუა წითელი ვარდის ფერი გაჭსჭვერის, ეს მისი ნიშანია, რომ კაცის ტანში კიდევ მომდინარეობს სისხლი. თუ ეს გამსჭვერი ფერი არ მოჩანს, მიმკვდარებული ნამდვილ მკვდარია...

და 4) ერთი თითი უნდა შეუკრან ძაფით მაგრა. თუ თითი შენაკრავს იქით გასივდა, ანუ ფერი იცვალა, მაშინ უნდა დავრწმუნდეთ, რომ გარდაცვალებულში სიცოცხლის ნიშნებია.

## მდიდარი.

Უკეთუ გნებავს, რათა სრულ იყო,
უბრძანა Ქრისტემ ჭაბუკს მდიდარსა,
წარვედ, გაჰყიდე შენი ცხოვრება,
და დაურიგე, ვინც გლახაკ არსა;
მაშინ გექნება ცაში საუნჯე,
შემდგომ შეუდექ შენს მაცხოვარსა.

—

Ესე სიტყვანი უბრძანა ჭაბუკს,
რომელსაც ჰსურდა სულის ცხოვნება,
და მოინდომა, რომ Მაცხოვარმან
მისცეს იმასა ახალი მცნება;
მაგრამ ის იყო ძლიერ მდიდარი,
ვერ აისრულა თავისი ნება.

—

Მას ჭაბუკს სიყრმით, ყოველი მცნება,
როგორც თვით ამბობს, აქვნდა დაცული,
მისთვის ისურვა სრულ ყოფილიყო,
მითი დაეტკბო თავისი გული;
მან ჰკითხა Ქრისტეს: რაღა მაკლია,
რომ მით დავიტკბო მე ჩემი სული?

—

Ქრისტემ აღუთქვა მას დიდი ჯილდო,
თუ გაემეტა თვისი ქონება,
უთხრა: თუ გნებავს რათა სრულ იყო,
ნუღარ გექნება ვეცხლის მონება,
გლახაკთ მიეცი შენი სიმდიდრე,
მით განაბრწყინვე შენი გონება.

—

Არ შეისმინა Მაცხოვრის მცნება,
კეთილი გრძნობა ვერ მოიხმარა;
დაღონდა დიდათ და მოიწყინა,
თუმც კი რომ გულით უნდა ეხარა,
რადგანაც რომა Უფალმან ჩვენმან
მისთვის კეთილი სიტყვა იხმარა:

—

Ქრისტემ აღუთქვა მას დიდი ჯილდო,
პირველ სისრულე,—ცათ ნეტარება;

ეს არს ყველასთვის სასიხარულო,
და უმეტესად მასთან ცხოვრება;
მაგრამ, მკითხველნო, განჰკვირდით ყველა,—
მან არ ისმინა უფლის ბრძანება!

—

და განეშორა ჭაბუკი ქრისტეს,
მაშინ უბრძანა თვის მოციქულთა,
რომა სიმდიდრე ამა ქვეყნისა,
საიქიოსა სდებს დიდსა წყლულსა,
რადგანაც რომა მდიდარი კაცი
სულ ვერ აშორებს სიმდიდრეს გულსა.

—

კვალად უბრძანა: ადვილი არის
აქლემის განსვლა ხვრელსა ნემსისა,
ვინემ სამოთხეს შესვლა მდიდრისა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

—

ესმათ რა ესე მოციქულებსა,
განჰკვირდნენ, შეკრთნენ ძრიელ დიდათა,
შემდგომ მიჰხედეს თვისსა მოძღვარსა
და ჰკითხეს იმათ მდაბლათ, მშვიდათა:
მაშ ვიღას ძალ-უძს ნეტა ცხოვნება?

—

იცოდეთ, კაცთგან შეუძლებელი,
ღმერთისაგან კი შესაძლო არის.
ამ თქმაზედ პეტრემ აღტაცებულმა,
იკადრა კითხვა სიტყვისა ცხარის:
აჰა დავტოვეთ საცხოვრებელი,
და ჩვენი ხვედრი ვითარი არის?

—

რომელნი ეგე შემომიდექით,
ყველა მიიღებთ ნეტარებასა,
თორმეტნი ტომნი ისრაილისნი
ცხადათ იხილვენ თქვენს დიდებასა,
განისჯებიან თქვენგან იგინი
და ღირსეულთა მისცემთ ქებასა.

—

ნეტარ არიან, ვინც რომ აქა
ჩემთვის დასტოვებს თითქმის ყველასა:
მშობელთა, ძმებსა, ცოლსა და დებსა,
და გლახაკს მისცემს მარჯვე შველასა,
ის განბრწყინდება ნეტარებითა,
და არ იხილავს კბილთა ღრჭენასა.

—

უფალი ჩვენი ყოველს მდიდარსა
არ უხშავს ცათა სასუფეველსა,
არამედ იმათ, ვინც რომ სიმდიდრეს
არ ხმარობს კარგათ, უჭირებს ხელსა,
თითონ კი ძღება, არ აძლევს გლახაკს,
თუმც კი რომ ჰხედავს მას თვალით სველსა.

—

ხოლო მდიდარი ბრძენი, ჭკუიანი,
რომელიც ხმარობს გონიერათა,
ვინც არა ჰზოგავს თვისსა სიმდიდრეს,
ურიგებს გლახაკს ზომიერათა,
არ უშვებს ტიტვლათ და მშიერათა,
ის დაიმკვიდრებს ცაში დიდებას.

—

ყველამ ვისურვოთ ცათა დიდება,
განუყოთ გლახაკთ საცხოვრებელი,
მით აღვასრულოთ მაცხოვრის მცნება,
შევიქმნეთ მისგან შეყვარებული,
თუ შევიწყნარებთ ღარიბთ, გლახაკთა,
ჩვენცა ვიქმნებით შეწყნარებული,
აღთქმულ ჯილდოთა ის მოგვანიჭებს,
და შევიქმნებით გახარებული.

მღ. ნ. მაღალდაძე.

## რედაქციის პასუხი.

პეტერბურღში. გ. გ—ლს. გოდიშს ვთხოვთ, რომ თქვენ პასუხს ვერ ვბეჭდავთ ზოგიერთ პატივსადებ მიზეზთა გამო. შინჯეთ, გაგზავნეთ „დროების" რედაქციაში; იქნება კი არ გითხრან უარი პასუხის დაბეჭვდაზე.

## შეწირულებანი.

ტფილისის მართლმადიდებელის სასულიერო სემინარიის ღარიბთა შაგირდების დამხმარე „ძმობის" სასარგებლოდ კიდევ შემოვიდა ფულები შემდეგ პირთაგან.
იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან . . ათი მან:
ქ. ტფილისის ბლაღოჩინის მამა გრიგოლ პეტრიევისაგან წარმოდგინდა ოცდა რვა მანეთი; ეს ფულები შემოვიდა შემდეგ პირთაგან:

დეკანოზის უთნელოვისაგან . . . . . ორი მან.
მღვდლის კოჩლამისაგან . . . . . ხუთი —
— ხამადაღოვისაგან . . . . . ერთი —
— მოლოდინოვისაგან . . . . ერთი —
— კავკასიძისაგან . . . . . სამი —
— გულაბოვისაგან . . . . . ხუთი —
— გურგენიძისაგან . . . . . ორი —
— გრიგოროვისაგან . . . . . ორი —
— ბარნოვისაგან . . . . . ორი —
— ბელითაურისაგან . . . . . ორი —
— ზუმბულიძისაგან . . . . . ერთი —
— სოფრომაძისაგან . . . . . ერთი —
მთავარ-დიაკვნის ცარიგოვსკისაგან . . . ერთი —

და სრულიად 38 მან.

# განცხადებანი.

## მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ მარტის თვიდამ; ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—**ოთხი მანეთი** და **ათი შაური**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорананъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.**

---

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ყველა გამოსული №№-ბი გაეგზავნება.

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-სა შეიცავს თორმეტ წიგნსა.

**ყრმათა საკითხავ წიგნში იბეჭდება:** ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

**დამატებაში**—მშობელთა და აღმზრდელთათვის—იბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები, პედაგოგიური თხზულებებისა, პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარევი, „ნობათი“-ს ფოსტა, განცხადებანი.

ჟურნალი „ნობათი“ ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირს **ოთხი მანეთი**, ცალკე ნომერი **ათი შაური**. მარტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

**ხელის-მოწერა მიიღება:** **თბილისში**—ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. **ქუთაისში**—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. **გორში**—ეკ. ფურცელაძისას. **თელავში**—ი. პ. როსტამაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

---

*Дозв. цензурою Кутаисъ, 15 Іюля 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძის.